MES 1 23 0001059844

31/08/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

გვანცა ნინიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ქეთევანი კევლიშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს აკადემოსი

თამარ ჩანტლაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის N45 საჯარო სკოლა

მზია გელაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლა

რუსუდან უსუფაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ-ქალაქ თბილისის N176 საჯარო სკოლა

ეკა გაბინაშვილი-დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს აკადემოსი

ა)თეონა ყაჭეიშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ბ)ნანა მონიავა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

სსიპ - ქალაქ თბილისის N45 საჯარო სკოლა

ა) ლიანა კობესაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ბ) მედეა ქოქრაშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

გ) ნინო ბურჯალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

დ) ნატო კვეტენაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ე) თამთა კამკამიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ვ) ნიკოლოზ გურგენიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ზ) მანანა შეროზია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

თ) ნინო მარღიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

ი) ნათია კოხოძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;

კ) ნანა კუნჭულია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ლ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლა

ა) ლელა ფიცხელაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტ;

ბ) გიორგი მომცელიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) მაია ქევხიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) მაია შამუგია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ნინო ავალიანი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) თამარ ძველაია - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ელიზა ბაგალიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) თინათინ გიორგაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ლიანა კობესაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ელენე ბეთლემიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;

სსიპ - ქალაქ თბილისის №176 საჯარო სკოლა
ა) ელისო ლოლაშვილი - მერებაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ბ) გიორგი კობახიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ინგა ლომაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი; დ) მზია მახაჭაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ანჟელა აბულაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ეკა ბარნაბიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) მაკა აფრიამაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) ელისო ვადაქარია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) მარინე ახალაია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნათია ბალხამიშვილი -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლა
ა) თამარ მიდელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ბ) მაია ბუაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) თამარი ოღლიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) მზია შევარდნაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ე) ია გაგნიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) მეგი ტალახაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ნანა ცინცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
თ) ლილი კაცაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ი) ნათია კოხოძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;
კ) სოფიო გელაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 16 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით

დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. **შპს აკადემოსის მიერავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;**
2. **სსიპ - ქალაქ თბილისის №45 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;**
3. **სსიპ - ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ საკითხისგანხილვა;**
4. **სსიპ -ქალაქ თბილისის №176 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;**
5. **სსიპ - ქალაქ თბილისის №74 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგში ცვლილებასთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად, დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს აკადემოსის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკი თხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა, თეონა ყაჭეიშვილმა და ნანა მონიავამ. ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში არაგეგმიური ვიზიტი განხორციელდა, 2023 წლის 19 და 20 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის

რაიონში, გ.ტერვერკოს ქ. N24-ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული.

ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა, ისაუბრა სკოლის ძლიერ მხარეზე. სკოლის ძლიერი მხარე იყო არაფორმალური განათლების განვითარება და პრაქტიკული განხორციელება. სკოლა მონაწილეობდა სხვადასხვა ღონისძიებაში, ფესტივალსა და კონფერენციაში. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ გაეროს მოდელირების საერთაშორისო კონფერენციაში.

ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა განაცხადა, რომ არაგეგმიური ვიზიტის საფუძველი იყო, შპს აკადემოსის მოსწავლის მშობლის ცენტრში შესული საჩივრის წერილი, რომელშიც იკვეთებოდა, ინკლუზიური განათლების განხორციელებაში შესაძლო ხარვეზი.

ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგა ინტერვიუირება მოსწავლის მშობელთან, სკოლის პერსონალთან, სკოლის ფსიქოლოგთან, კლასის ხელმძღვანელთან. ასევე, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ნეიროფსიქოლოგის დასკვნას, მოსწავლის დიაგნოზს, რომლის მიხედვითაც მოსწავლე იყო აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე. ექსპერტის, თეონა ყაჭეიშვილის განმარტებით, შემოწმებული იყო მოსწავლის დიაგნოსტიკური ნამუშევრები, რომლითაც დადგენილი იყო მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლე იყო აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე, დაკვირვების შედეგად გამოვლენილი იყო, რომ მოსწავლე არ საჭიროებდა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, შეეძლო სრულფასოვნად ჩართულიყო სასწავლო პროცესებში.

ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა, ისაუბრა დაწესებულებაში გამოვლენილ გარემოებებზე, კერძოდ, ხარვეზი იყო დაფიქსირებული, 4.2.3.2 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც - დარღვეული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2018 წლის 16/ნ ბრძანება "ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების შესახებ. აგრეთვე, ბრძანება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე. კერძოდ, ვიზიტის პერიოდში, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ მონაცემთა ბაზაში (eschool.emis.ge), აღმოჩენილი იყო სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლე, რომელსაც ჰქონდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტატუსი. ექსპერტის, თეონა ყაჭეიშვილის განმარტებით, აღნიშნული ფაქტი, სკოლის მხრიდან არ იყო იდენტიფიცირებული და შესაბამისად, არ იყო უზრუნველყოფილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეზე მულტიდისციპლინური გუნდის ფორმირება, არ მიმდინარეობდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობა და სასწავლო პროცესი არ ხორციელდებოდა მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა განაცხადა, რომ სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი და შესრულებული იყო გეგმით გათვალისწინებული შემდეგი ქმედება, აღნიშნული მოსწავლე, რომელსაც ჰქონდა სპეციალური საგანმანათლებლო საწიროების სტატუსი, მობილობის საფუძველზე გადაყვანილი იყო სხვა სკოლაში - 2023 წლის ივლისის თვეში. სკოლის მიერ ცვლილება იყო შესული საქმისწარმოების წესში. საქმისწაროების წესს დამატებული ჰქონდა ვალდებულება, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ მონაცემთა ბაზაში (eschool.emis.ge) მოსწავლის დამატების შემდეგ, საქმისმწარმოებელს მოეხდინა მოსწავლის მონაცემების გადამოწმება. რაც შეეხებოდა საქმისმწარმოებელს, მასთან პირადი განცხადების საფუძველზე შეწყვეტილი იყო შრომითი ურთიერთობა, ხოლო დამრიგებელს, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა კლასი, მასზე დაკისრებული სამსახურეობრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების გამო, კერძოდ, მოსწავლის პირადი საქმის არასრულყოფილად შემოწმებისთვის, რის გამოც არ იყო იდენტიფიცირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსი, მასწავლებლის მიმართ, დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით გამოცხადებული იყო საყვედური.

ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა განაცხადა რომ ხარვეზი იყო დაფიქსირებული 3.3.1.3 ინდიკატორთან მიმართებით. კერძოდ, სკოლის მიერ არ იყო შემუშავებული თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. ექსპერტის, თეონა ყაჭეიშვილის განმარტებით, აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას გადმოგზავნილი იყო შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების დამადასტურებელი დირექტორის ბრძანება (,,შპს აკადემოსის დირექტორის 2023 წლის 19 ივლისის ბრძანება N2-18-23, შპს აკადემოსის დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის შპს აკადემოსის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ N2-92-21 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ”).

ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა ისაუბრა 4.1.1.2 ინდიკატორთან მიმართებით, რომელიც შეეხებოდა სკოლის ვებ-გვერდის ფუნქციონირებას. დაწესებულების მიერ, სასკოლო საზოგადოებისთვის, ვებ-გვერდზე არ იყო გაზიარებული სკოლის ძირითადი მოქმედი დოკუმენტაცია და სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციების პაკეტი. ექსპერტის, თეონა ყაჭეიშვილის განმარტებით, ვიზიტის შემდეგ, სკოლამ ვებ-გვერდზე ატვირთა შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები; სკოლის შინაგანაწესი; მშობელთან ურთიერთობის დებულება; საქმისწარმოების წესი; სკოლის დებულება; მოსწავლეთა ადაპტაციის წესი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა და სხვა დოკუმენტები.
ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა განაცხადა, რომ ხარვეზი იყო დაფიქსირებული 4.1.1.2 ინდიკატორთან მიმართებით, კერძოდ, სკოლის მიერ არ იყო შემუშავებული მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი და შესრულებული იყო შემდეგი ღონისძიება: დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული იყო მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა და მიმართა ექსპერტს, თეონა ყაჭეიშვილს, აღნიშნულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლის მიერ აღნიშნული ხარვეზები გამოსწორებული იყო თუ არა სრული შესაბამისობით. ექსპერტმა, განაცხადა, რომ ყველა ის ხარვეზი აღმოფხვრილი იყო, რომელზეც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები.
საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა დაწესებულების სახელწოდებით. შპს აკადემოსი რამდენად შეესაბამებოდა ახალი სტანდარტების მოთხოვნებს, დაგეგმილი იყო, თუ არა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან სახელწოდების ცვლილება. სკოლის დირექტორის, ნატო ჩიტალაძის განმარტებით, სკოლის მიერ დაგეგმილი იყო ცვლილება სკოლის სახელთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა და მიმართა სკოლის წარმომადგელს, ჰქონდა თუ არა სკოლას მზაობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მისაღებად, ჰქონდა, თუ არა სკოლას რესურსოთახი და რამდენად შეძლებდა გაეწია შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვს. სკოლის დირექტორმა, თამარ ჩიტალაძემ განმარტა, რომ სკოლის მხრიდან იყო მზაობა, საჭირო რესურსი და თუ იქნებოდა საჭიროება, სკოლა აიყვანდა სპეციალურ მასწავლებელს და სკოლას შესაძლებელობა ექნებოდა შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ამ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტმა, ნანა მონიავამ დასძინა, რომ სკოლაში ნამდვილად იყო მზაობა, მიეღოთ სპეციალური საგნმანათლებლო საჭიროების მქონე

მოსწავლე და შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწიათ მათთვის. ექსპერტის, განმარტებით, სკოლის შეცდომა იყო, მხოლოდ ის, რომ დროულად არ იყო განხორციელებული აღნიშნული მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება იდენტიფიცირებული. ექსპერტის, განცხადებით, სკოლაში იყო მზაობა, მიმღებლობა და შესაძლებლობა ემუშავათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აკადემოსის ავტორიზაციასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს აკადემოსის (ს/კ: 202061295) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

1. სსიპ - ქალაქ თბილისის №45 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლიანა კობესაშვილმა და მედეა ქოქრაშვილმა. ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N45 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 13 და 14 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა, ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის გამზირის N25-ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1600 მოსწავლე.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, ისაუბრა სკოლის მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის ნაწილზე, წარმოადგინა შესაბამისი ფოტო-მასალა. სკოლა განთავსებული იყო ოთხსართულიან შენობაში. ექსპერტის თქმით, სკოლის შიდა და გარე ეზოში განთავსებული იყო რეკრეაციული სივრცეები. სკოლას ჰქონდა კეთილმოწყობილი შიდა და გარე სპორტული მოედნები, ჰქონდა სააქტო დარბაზი, საუკეთესოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა. დაწესებულება აღჭურვილი იყო კომპიუტერული ლაბორატორიით და STEM კაბინეტით, სადაც წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა ნამუშევრები. სკოლაში იყო ფართო და ნათელი დერეფნები, რაც ხელს უწყობდა მოსწავლეთა სოციალიზაციის პროცესს.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ოთხივე სტანდარტის მიხედვით შეისწავლა სკოლის დოკუმენტაცია. პირველი სტანდარტის განხილვისას, ექსპერტმა, განაცხადა, რომ ხარვეზი იყო დაფიქსირებული 1.2. კომპონენტთან მიმართებით, კერძოდ, ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ არ იყო შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, შესაბამისად არ იყო შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შვიდწლიაინ სტრატეგიულ გეგმას დაეფუძნებოდა. დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც, სკოლას შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავების პერიოდად განსაზღვრული ჰქონდა 3 თვე და 17 დღე (12 ივნისი - 29 სექტემბერი, 2023 წ.). ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მზაობა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, ვიზიტის პერიოდშივე იყო. სკოლის დირექტორის N2-201 ბრძანებით შექმნილი იყო ჯგუფი, რომელიც მუშაობდა ამ მიმართულებით. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, სკოლის მიერ გაწერილი იყო განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები, რისკები და პასუხისმგებელი პირი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, სკოლის მხრიდან წარმოდგენილი სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მიჩნეული იყო რელევანტურად, რადგან სკოლა შეძლებდა აღნიშნული ვალდებულების შესრულებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემული კომპონენტი შეფასდა მეტწილად შესაბისი სტანდარტის მოთხოვნებთან. ექსპერტის, ლიანა კობესაშვილის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ სკოლას, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, შეემუშავებინა სამოქმედო გეგ

რაც შეეხებოდა მესამე სტანდარტს, ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განაცხადა, რომ სკოლას ყველაზე მეტი გამოწვევა ჰქონდა მესამე სტანდარტში, სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში დაფიქსირებული გარემოებები და არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, სკოლამ დეტალურად გაწერა ვადები, თუ რა ვადებში შეძლებდნენ აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრას. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფდა ცვლილებების განხორციელებას სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებული ვადების მიხედვით.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განაცხადა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა 3.1 კოპონენტთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა პერსონალის მართვას. ექსპერტმა, განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებულ ყველა პირს არ ჰქონდა წარმოდგენილი ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობა „უფლების ჩამორთმევის შესახებ“.

ექსპერტის, ლიანა კობესაშვილის განცხადებით, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაიწერა აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 15.06.2023-01.09.2023). შესაბამისად, კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან. ექსპერტმა, აღნიშნა, რომ სკოლი მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, სკოლაში დასაქმებულ ყველა პირს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილ ვადებში, უნდა წარმოედგინა ცნობები

„სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და „უფლების ჩამორთმევის შესახებ“.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განაცხადა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა 3.4.1.1. ინიკატორთან მიმართებით. ექსპერტის, განმარტებით, სკოლაში ექიმის კაბინეტი სრულად იყო აღჭურვილი, ექიმის კვალიფიკაციაც შეესაბამებოდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს. თუმცა, სკოლაში ექიმის არსებული საშტატო ერთეული არ აკმაყოფილებდა 2022 წლის 21 მარტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით №41/ნ/01-23/ გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კერძოდ, მოსწავლეთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობიდან გამომდინარე (1600), სკოლას არ ჰყავდა მეორე ექიმი. ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განაცხადა, რომ სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც 10 თვის ვადაში (30 ივლისი, 2023 წ დან - 30 მაისი 2024 წ. მდე) სკოლა უზრუნველყოფდა ექიმის შტატის დამატებას და ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კადრის აყვანას. ექპსერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია აღნიშნულ ინდიატორთან მიმართებით. კერძოდ, სკოლას უნდა მოეხდინა ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კადრის აყვანა, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვიმა, განაცხადა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა 3.4.1.2. ინდიკატორთან მიმართებით. კერძოდ, სკოლის მიერ არ იყო შესრულებული ის ვალდებულება, რომელიც განსაზღვრული იყო 2019 წლის 17 ივნისის, სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხვედლობის N825 მიწერილობით, რომლის თანახმადაც სკოლა ვალდებული იყო დაემონტაჟებინა სახანძრო სიგნალიზაცია. ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში, სკოლის მიერ ჩატარებული იყო ბაზრის კვლევა, სკოლას შესწავლილი ჰქონდა ის ხარჯები, რაც საჭირო იყო სახანძრო სისტემის დასამონტაჟებლად. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო წერილი MES 9 23 0000691670, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში ფინანსური მხარდაჭერის მოთხოვნით. ექსპერტმა, განაცხადა, რომ სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფუს გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლა 1 წლის ვადაში განახორციელებდა სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, ექსპერტ, ლიანა კობესაშვილის განაცხადებით ხარვეზი დაფიქსირდა 3.4.1.3. ინდიკატორთან მიმართებით, კერძოდ, სკოლის მიერ არ იყო წარმოდგენილი სკოლის შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ექსპერტის, განმარტებით, ვიზიტის პერიოდში, სკოლის მიერ გაგზავნილი იყო წერილი, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში (12/06/2023), სკოლის შენობის კონსტრუქციის მდგრადობის შესწავლისა და შესაბამისი დოკუმენტის გაცემისთვის საჭირო პროცედურების დაწყების თაობაზე. ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განაცხადა, რომ სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლა განახორციელებდა შენობის მდგრადობის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მოკვლევას 6 თვის ვადაში. ექსპერტმა, განაცხადა, რომ თითოეულ ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგენილი სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული განსახორციელებელი აქტივობების, რესურსების, ვადების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული ინდიკატორები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განაცხადა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა 3.5 კომპონენტთან მიმართებით. კერძოდ, სკოლის ინფრასტრუქტურა არ იყო სრულად ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის. ექსპერტის, განმარტებით, სკოლა

იყო ოთხსართულიანი. სკოლის შესასვლელში მოწყობილი იყო პანდუსი, პირველ სართულზე განთავსებული იყო კეთილმოწყობილი სველი წერტილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის. სკოლაში არ იყო დამონტაჟებული ლიფტი და მოძრავი პანდუსები, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს სკოლის მთელ ტერიტორიაზე გადაადგილების საშუალებას მისცემდა. ექსპერტის, ლიანა კობესაშვილის განცხადებით, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2023 წლის ივლისიდან 2024 წლის მაისამდე (10 თვეში) სკოლა უზრუნველყოფდა ლიფტის დამონტაჟებას. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრული იყო დაფინანსების წყარო და პროცესში ჩართული მხარეები. ექსპერტ, ლიანა კობესაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპონენტი შეფასებული იყო როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განაცხადა, რომ ხარვეზი არ დაფიქსირებულა მეოთხე სტანდარტთან მიმართებით, რომელიც შეეხებოდა მოსწავლეთა მხარდაჭერას. შესაბამისად, სტანდარტი მთლიანად შეფასებული იყო როგორც სრულად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.
ექსპერტის, ლიანა კობესაშვილის განცხადებით, ასევე, ხარვეზი არ დაფიქსირებულა სასკოლო კურიკულუმების ნაწილში, მეორე სტანდარტთან მიმართებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები პასუხობდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, შესაბამისად სტანდარტი მთლიანად შეფასებული იყო როგორც სრულად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების სამივე საფეხურთან დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ .
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა საგნობრივი კურიკულულებთან დაკავშირებით და მიმართ საგნობრივ ექსპერტებს, თითოეული საგნის ფარგლებში დეტალურად ესაუბრათ, თუ როგორ მიმდინარეობდა სკოლაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა, რა აქტივობები ხორციელდებოდა იმგვარი, რომ არც-ერთი საგნობრივი ექსპერტის მხრიდან არ ყოფილა მცირე შენიშვნაც კი მეორე სტანდართან მიმართებით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უცხოური ენების საგნობრივმა ექსპერტმა, თამთა კამკამიძემ აღნიშნა, რომ მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს გამოვლინდა სკოლაში, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გემის შესაბამისად, მასწავლებლების მხრიდან შემუშავებული დავალებები იყო თითოეული მოსწავლის მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, მასწავლებლების მხრიდან მოყვანილი იყო მაგალითები, თუ როგორ ახდენდნენ კომპლექსური დავალებების ადაპტირებას მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასევე, სკოლას შემუშავებული ჰქონდა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ექსპერტმა, თამთა კამკამიძემ, აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლების მხრიდან იყო მოსწავლეთა მაღალი მხარდაჭერა. აღნიშნულს დაეთანმხმა და იგივე აზრი გაიზიარა, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, ნიკოლოზ გურგენიძემ, ასევე, სახელმწიფო ენის ექსპერტმა, ნატო კვენეტაძემ. მან დაამატა რომ სახელმწიფო ენასთან მიმართებით განხორციელებული პროექტული სწავლების დაგეგმვისას აქცენტები კეთდებოდა თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე, რაც ხელს უწყობდა მოსწავლის აქტიურად ჩართვას და მისი შესაძლებლობების გამოვლენას.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, თუ რა მხარდაჭერა იყო მასწავლებლების მიმართ სკოლის მხრიდან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სახელმწიფო ენის ექსპერტმა, ნატო კვენეტაძემ განაცხადა, რომ უპირველესი მხარდაჭერა სკოლის მხრიდან იყო ის, რომ სკოლაში შექმნილი იყო პოზიტიური სამუშაო გარემო, რაც ხელს

უწყობდა თითოეული მასწავლებლის შესაძლებლობების გამოვლენას. ასევე, კათედრებზე მუშაობის პროცესშიც იკვეთებოდა სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერა. სკოლაში იყო მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, მასწავლებლების მაღალი კომპეტენცია და მზაობა სასწავლო პროცესის ჯეროვნად წარმართვისთვის.
საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი დაინტერესდა, თუ რა მდგომარეობა იყო საბაზო და საშუალო საფეხურზე და მიმართა მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს, მანანა შეროზიას, განემარტა, თუ როგორ მიმდინარეობდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა. ექსპერტმა, მანანა შეროზიამ განაცხადა, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე აქტიურად მიმდინარეობდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა. მათემატიკის კათედრებზე აქტიურად მიმდინაროებდა კომპლექსური დავალებების განხორციელება, შემუშავებული იყო განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართებოდა თითოეული ცნებისკენ და გრძელვადიანი მიზნებისკენ. კომპლექსური დავალებების დანერგვისას აქტიურად იყენებდნენ my craft-ის პროგრამას, ჩატარებული ჰქონდათ ინტეგრირებული გაკვეთილები.
სკოლის დირექტორმა, მზია გელაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს თანამშრომლობისთვის და აღნიშნა, რომ ყველა ის ხარვეზი, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ იყო ასახული საბოლოო დასკვნაში, აღმოიფხრებოდა სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, განსაზღვრული აქტივობებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N45 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N45 საჯარო სკოლას (ს/კ: 209468814) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1600 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 1.)
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2024 წლის აგვისტოდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: მესამე სტანდარტის 3.1, 3.4, და 3.5 კომპონენტები.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში, ცენტრში წარმოეგინა 1.2 კომპონენტის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2. სსიპ - ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა და გიორგი მომცელიძემ. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 06 და 07 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ თერჯოლაში, 4 ძმის ქ.N1-ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 600 მოსწავლე.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსებსა და ინფრასტრუქტურაზე და წარმოადგინა ფოტო-მასალა. სკოლა განთავსებული იყო ოთხსართულიან შენობაში. დაწესებულება აღჭურვილი იყო კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით, რასაც აქტიურად იყენებდნენ, როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებლები, სკოლის ძლიერი მხარე იყო ტექნოლოგიები. სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა და მცირე სამკითხველო. კეთილმოწყობილი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით, სტანდარტის შესაბამისი სველი წერტილები. რაც შეეხებოდა სკოლის ადაპტირებულ გარემოს, სკოლაში იყო ადაპტირებული შესასვლელი, დამონტაჟებული იყო პანდუსი.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ოთხივე სტანდარტის მიხედვით შეისწავლა სკოლის დოკუმენტაცია. ექსპერტის, განცხადებით, პირველი სტანდარტის, სკოლის ფილოსოფია, ყველა კომპონენტი შეფასდა სრული შესაბამისობით სტანდარტის მოთხოვნებთან.

რაც შეეხებოდა მესამე სტანდარტს, ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ სკოლას ყველაზე მეტი გამოწვევა ჰქონდა მესამე სტანდარტში, სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში დაფიქსირებული გარემოებები და არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, სკოლამ დეტალურად გაწერა ვადები, თუ რა ვადებში შეძლებდნენ აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრას. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფდა ცვლილებებს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებული ვადების მიხედვით.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა 3.4 და 3.6 კოპონენტებთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოებას და სკოლის საინფორმაციო რესურსებს.

ექსპერტის, ლელა ფიცხელაურის განცხადებით ხარვეზი დაფიქსირდა 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, კერძოდ, სკოლის მხრიდან არ იყო წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, თუმცა სკოლა ახალი რეაბილიტირებული იყო და სკოლაში არსებობდა შენობის პასპორტი და გეგმა რეაბილიტაციამდე. ექსპერტის, განცხადებით, სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი იყო შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. შესაბამისად, აღნიშნული კომპონენტი შეფასდა, როგორ მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტის, ლელა ფიცხელაურის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ სკოლას, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ასახული ვადებით, მოეხდინა ხარვეზის აღმოფხვრა.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ სკოლაში არ იყო ვიდეო-კამერები, ცეცხლმაქრები, გასაახლებელი იყო საევაკუაციო გეგმა, მოსაწყობი იყო სიგნალიზაციის სისტემა. ლელა ფიცხელაურის, განმარტებით, ვიზიტამდე სკოლას მიმდინარე წლის 08 მაისს გაგზავნილი ჰქონდა წერილი, MES 6 23 0000513917, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში, სამეთვალყურეო ვიდეო კამერის დამონტაჟების მოთხოვნის თაობაზე. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მოცემული ხარვეზის აღმოსაფხვრელად მითითებული იყო ერთი წელი. შესაბამისად, კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ სკოლაში დარღვეული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა, კერძოდ, სკოლაში ექიმის კაბინეტი სრულად არ იყო აღჭურვილი, სამედიცინო კაბინეტში არ იყო დაცული პაციენტის პრივატულობა, სკოლაში არ იყო შირმა. მიუხედავად იმისა რომ სკოლას ჰყავდა კვალიფიციური ექიმი, ექიმი აწარმოებდა სამედიცინო ჟურნალს, მაგრამ მასში არ იყო ასახული ინფორმაცია სამედიცინო შემთხვევებთან დაკავშირებული მიმართვების შესახებ. არ იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგის ამსახველი დოკუმენტი. ასევე, დარღვეული იყო ბრძანების ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც ექიმი ვალდებული იყო, წლის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, მოემზადებინა საჭირო წინადადებები და რეკომენდაციები სკოლის ხელმძღვანელობის წინაშე წარსადგენად. ასევე, სკოლაში არ იყო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, განაცხადა, რომ რადგან სკოლის სურვილი იყო ჰყოლოდა 600 მოსწავლე, რეკომენდებული იყო სკოლას ჰყოლოდა ერთი ექთანი და ერთი ექიმი. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაიწერა აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 15.09.2023-01.01.2024). შესაბამისად, კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა 3.4.2.1 ინდიკატორთან მიმართებით, კერძოდ, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული საგანგებო მართვის გეგმა, შესაბამისად არ იყო შეთანხმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის უწყებასთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. უსაფრთხოების მიზნით, შენობის ყველა სართულზე არ იყო გამოკრული საევაკუაციო გეგმა. იყო მხოლოდ 2 ცეცხლმაქრი, რომელიც არ იყო შესაბამისი წესით დამუხტული. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაიწერა აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - დასაწყისი-2023, დასასრული -2024). შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა 3.6 კომპონენტთან მიმართებით. სკოლას არ ჰქონდა ვებ-გვერდი. ექსპერტის, ლელა ფიცხელაურის განცხადებით, ვიზიტის დროს სკოლამ 07/06/2023 წერილით MES 7 23 0000656965 მიმართა, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, სადაც მოთხოვნილი ჰქონდა დომენის მისამართი, რათა შეექმნათ სკოლის ვებ-გვერდი. სკოლამ, არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაიწერა

აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 07.06.2023-15.09.2023). შესაბამისად, კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები ექსპერტებთან, ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რატომ არ ჰქონდა სკოლას საევაკუაციო გეგმა. სკოლის დირექტორმა, რუსუდან უსუფაშვილმა, უპასუხა, რომ ბოლო რეაბილიტაციის შემდეგ არ განახლებულა საევაკუაციო გეგმა, რადგან ეს ფინანსებთან იყო დაკავშირებული, ამის სახსრები სკოლას არ ჰქონდა. შესაბამის ორგანოსთან სკოლას ჰქონდა მიწერილობა და ელოდებოდნენ შესაბამის რეაგირებას.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა საგნობრივ კურიკულულებთან დაკავშირებით და მიმართა საგნობრივ ექსპერტებს, თუ როგორ მიმდინარეობდა სკოლაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა, რას დაასახელებდნენ სკოლის ძლიერ მხარედ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, მაია შამუგიამ განაცხადა, რომ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემავალ საგანში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მიმდინარეობდა კომპლექსური დავალებების განხორციელება. კათედრებს შორის იმართებოდა შეხვედრები, სადაც ხდებოდა სასკოლო პროგრამების დიფერენცირება და მოდიფიცირება თითოეული მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. აღნიშნული საკითხი გაიზიარა საბუნებუსმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, მაია ქევხიშვილმა და აღნიშნა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაც ახორციელებდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას.
სკოლის გამოცდილებაზე ისაუბრა უცხოური ენების საგნობრივმა ექსპერტმა, ნინო ავალიანმა. მან აღნიშნა, რომ მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს გამოვლინდა, რომ სკოლაში სასწავლო მასალის შეთავაზება მიმდინარეობდა თითოეული მოსწავლის მზაობის, შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასევე, შემუშავებული ჰქონდათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ექსპერტმა, ნინო ავალიანმა აღნიშნა, რომ სკოლაში ხორციელდებოდა არაფორმალური განათლების მხარდაჭერა, ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტი, სადაც გათვალისწინებული იყო თითოეული მოსწავლის მზაობა, საჭიროება და შესაძლებლობები. მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული არაფორმალური განათლების კუთხით განხორციელებულ აქტივობებში.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი დაინტერესდა სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის სამუშაო პროცესზე. სთხოვა სკოლის წარმომადგენლებს დეტალურად ესაუბრათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა, რუსუდან უსუფაშვილმა განაცხადა, რომ სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებდა მოსწავლეთა თვითმართველობის ორგანო. თვითმართველობის ორგანომ შექმნა საზაფხულო ბანაკი, სადაც მოწვეული ჰყავდათ სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლები, იყო სამდღიანი სხვადასხვაგვარი, შემეცნებითი აქტივობა.
საბჭოს მდივანი, მანანა ჯინჭარაძე დაინტერესდა, თუ რომელი კლუბები ფუნქციონირებდა სკოლაში. სკოლის დირექტორმა, რუსუდან უსუფაშვილმა განაცხადა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა 3 კლუბი, მწიგნობართა კლუბი, წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით, სადაც მოსწავლეები კითხულობდნენ სხვადასხვაგვარ ლიტერატურას, იმართებოდა დისკუსია წაკითხულთან დაკავშირებით. ასევე, სპორტული კლუბი, სადაც ტარდებოდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები და მუსიკალური კლუბი, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა სასკოლო, თუ სხვადასხვა რაიონულ ღონისძიებაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 232001678) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 2)
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის აგვისტოდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: მესამე სტანდარტის 3.4 და 3.6 კომპონენტები.

საბჭოს სხდომაზე 16:55 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 17:05 საათზე.

4.სსიპ-ქალაქ თბილისის №176 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ელოსო ლოლაშვილი-მერებაშვილმა და გიორგი კობახიძემ. ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილ-მერაბაშვილმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N176 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 05 და 06 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-4 მიკრო რაიონის მე-2 რიგში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს.

პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1550 მოსწავლე.
ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა, ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსებსა და ინფრასტრუქტურუქტურის ნაწილზე, წარმოადგინა შესაბამისი ფოტო-მასალა. ექსპერტის თქმით, სკოლა განთავსებული იყო ოთხსართულიან შენობაში, სკოლაში იყო რეკრეაციული სივრცეები. სკოლას ჰქონდა კეთილმოწყობილი შიდა სპორტული მოედანი, აღჭურვილი იყო, როგორც კომპიუტერული ლაბორატორიით, ისე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით, დაწესებულებას ჰქონდა სააქტო და საკონფერენციო დარბაზი, წიგნადი ფონდით აღჭურვილი ბიბლიოთეკა. სკოლის ძლიერი მხარე იყო არაფორმალური განათლების ხელშეწყობა. სკოლაში ფუნქციონირებდა სპორტული წრეები.
ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი -მერებაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ოთხივე სტანდარტის მიხედვით შეისწავლა სკოლის დოკუმენტაცია. პირველი სტანდარტის განხილვისას, ექსპერტმა, განაცხადა, რომ ხარვეზი იყო დაფიქსირებული 1.1 კომპონენტთან მიმართებით, კერძოდ, სკოლას არ ჰქონდა, ახალი მისია, ხედვა და ღირებულება შემუშავებული. სკოლის ახალი მისია, ხედვა ღირებულება ვიზიტის დროს, იყო შემუშავების პროცესში. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა ახალი მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტი და ასევე წარმოდგენილი ჰქონდა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (12 თვე), სადაც განსაზღვრული იყო ვადები, პასუხისმგებელი პირები, რომელთა ჩართულობითაც მოხდებოდა მისიის შემუშავება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.
ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა განაცხადა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა 1.2. კომპონენტთან მიმართებით, კერძოდ, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში მიმდინარობდა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება. დაწესებულებამ, არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც, სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავების პერიოდად განსაზღვრული იყო 12 თვე. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, სკოლის მიერ გაწერილი იყო განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები, რისკები და პასუხისმგებელი პირი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.
ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა განაცხადა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა 1.2.1.4 ინდიკატორთან მიმართებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი იყო სტრატეგიული გეგმის მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, განსაზღვრული იყო ვადები, პასუხისმგებელი პირები, თუმცა არ იყო შესრულების ინდიკატორები და რესურსები. ექსპერტის, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის განცხადებით, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც უზრუნველყოფდა (12 თვის ვადაში) შესაბამისი აქტივოებებით ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ამ ეტაპზე ინდიკატორი ფასდებოდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა 3.1.2.4 ინდიკატორთან მიმართებით. სკოლას არ ჰქონდა დადგენილი, მასწავლებლის გარდა სხვა თანამშრომლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას. ამასთან, სკოლაში არ იყო წარმოდგენილი დასაქმებულთა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობები. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (12 თვე), რომლის მიხედვით აღნიშნული შესრულებული იქნებოდა გეგმით გათვალისწინებულ ვადებში. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

ექსპერტის, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის განცხადებით, ხარვეზი დაფიქსირდა 3.3.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, კერძოდ, სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა რაიმე სახის მტკიცებულება, სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ. დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრული იყო შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები (01.09.2024), აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

რაც შეეხებოდა სკოლის უსაფრთხო გარემოს, ექსპერტის, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის განმარტებით, ხარვეზი დაფიქსირდა 3.4.1.1.კომპონენთან მიმართებით, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ იყო შეთანხმებული შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან. ვიზიტის პერიოდში, სკოლას სახანძრო უსაფრთხოების პირობების მოწესრიგების მიზნით (სახანძრო სიგნალიზაცია და ადამიანთა ევაკუაციის სისტემის მონტაჟი), გამოცხადებული ჰქონდა სახელმწიფო შესყიდვა, რომელიც სრულდებოდა მიმდინარე წლის 30 ივნისს. ასევე, ვიზიტის პერიოდში, დაწესებულებამ, წერილობით მიმართა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, შენობის მდგრადობის დასკვნის მომზადების მიზნით შესაბამისი სახსრების გამოყოფის თაობაზე (MES 642547; 05.06.2023).

ექსპერტის, ესლისო ლოლაშვილი-მერებაშვილის განცხადებით, პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით სკოლაში დასაქმებული ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ დადგენილ ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დაწესებულების განმარტებით, სკოლაში ექიმი დასაქმებული იყო 2016 წლიდან, პროგრამის პილოტირებისას, რა დროსაც საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე კონკრეტული შეზღუდვა არ იყო. სკოლის ექიმი აწარმოებდა ავადობის შემთხვევების რეგისტრაციის ჟურნალს, კაბინეტი აღჭურვილი იყო დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ დროულად უზრუნველყოს, კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმება ექიმის პოზიციაზე. ამასთან, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სკოლას უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით. ექსპერტის, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის განმარტებით, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრული იყო შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადა (01.12.2023), აქტივობები და შესაბამისი რესურსები, როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმების შეთანხმების, ისე სკოლის შესაბამისი კვალიფიკაციის და რაოდენობის ექიმით უზრუნველყოფის საკითხები. აღნიშნულის გათვალისწინებით , ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტის, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის განცხადებით, ხარვეზი დაფისქსირდა 3.5.1.4. ინდიკატორთან მიმართებით. სკოლის შენობა არ იყო სრულად ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. სკოლის შენობა ვერ ქმნიდა ინკლუზიურ გარემოს. შენობაში არ იყო ლიფტი და პანდუსები. ეტლით მოსარგებლე პირები ვერ შეძლებდნენ სკოლის შიგნით გადაადგილებას. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში, წერილით მიმართა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს (MES 650555; 06.06.23), პანდუსის მოწყობის საკითხთან დაკავშირებით. ექსპერტის განცხადებით, არგუმენტირებული პოზიციის წარდგნენისას, სკოლამ წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (12 თვე). აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტის, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის განმარტებით, ხარვეზი დაფიქსირდა 3.6.3.4 ინდიკატორთან მიმართებით. სკოლას არ ჰქონდა მოქმედი ვებ-გვერდი. ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წერილობით მიმართა, სსიპ - საინფორმაციო მართვის სისტემას ვებ-გვერდის შექმნის მოთხოვნის თაობაზე. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას წარმოადგინა, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით სკოლა უზრუნველყოფდა ვებ-გვერდის შექმნას და მასზე ქართულ ენაზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა განაცხადა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა 2.2.2.5 ინდიკატორთან მიმართებით. კერძოდ,

სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა , რომ ისინი აანალიზებდნენ შემაჯამებელი სამუშაოების შედეგებს და მათზე დაყრდნობით გეგმავდნენ სასწავლო პროცესს. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მითითებული ჰქონდა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავების ვადები მომავალი სასწავლო წლისთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შეესაბამისი.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები ექსპერტებთან, ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი დაინტერესდა, თუ რა მოტივით აიღო სკოლმა ვებ-გვერდის შექმნისთვის ერთწლიანი ვადა და 10 დეკემბრის ანგარიშის ოქმი რატომ იყო წარმოდგენილი 12 დეკემბერს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ეკა გაბინაშვილმა განაცხადა, იმისათვის, რომ სკოლის ვებ-გვერდს ემუშავა გამართულად და ყველა ინფორმაცია ასახულიყო სრულყოფილად, სკოლამ საჭიროდ მიიჩნია და შესაბამისობის გეგმაშიც ასახა, რომ ამისთვის საჭირო იქნებოდა ერთწლიანი ვადა. რაც შეეხებოდა 10 დეკემბრის ანგარიშს, ეკა გაბინაშვილმა განაცხადა, რომ 10 დეკემბრის ანგარიში წარმოდგენილი იყო 12 დეკემბერს, რადგან 10 დეკემბერი იყო შაბათი.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა სასკოლო სასწავლო გეგმით წარმოდგენილი საათობრივი ბადით, სადაც წარმოდგენილი იყო მხოლოდ დაწყებითი საფეხურის, სადაც ასახული იყო წლიური საათობრივი დატვირთვა. სკოლის წარმომადგენელმა, ეკა გაბინაშვილმა განაცხადა, რომ ის ხარვეზი, რაც დაფიქსირებული იყო სასკოლო გეგმაში, გამოსწორებული იქნებოდა სკოლის მიერ ახალი სასწავლო წლის დასაწყისამდე.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა მეოთხე სტანდარტთან მიმართებით, სკოლა რა პროგრამებს და აქტივობებს ახლორციელებდა მოსწავლეთა მხარდაჭერის და წახალისების მიზნით. სკოლის წარმომადგენელმა, ეკა გაბინაშვილმა განაცხადა, რომ სკოლაში მოქმედებდა ე.წ. საშვთა სისტემა, რომლითაც დაცული იყო სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოება. ასევე, ისაუბრა სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის შესახებ, რომელიც ახორციელებდა სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობას.

საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა იყო თუ არა სკოლაში ფინანსური მხარდაჭერის პრაქტიკა, მოსწავლეთა ინიციატივების წახალისების მიზნით რა ფორმით გამოიყოფოდა ფინანსები სკოლის ბიუჯეტიდან. ამ საკითხთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას არ ჰქონდა ბიუჯეტში თანხა, სკოლას არ ჰქონდა სხვა სახის, დამატებითი ეკონომიური შემოსავალი, რომ მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება მოეხდინა ფინანსური მხარდაჭერით.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, რა სახის მხარდაჭერა ჰქონდა სკოლის მასწავლებლებს სკოლის მხრიდან კარიერული ზრდის პროცესში. დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკა გაბინაშვილმა, განაცხადა, რომ გეოგრაფიის მასწავლებელი გიორგი სებისკვერაძე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მივლინებული იყო Seni Georgia-ს მიერ

ორგანიზებულ ტრენინგზე. ისტორიის მასწავლებელი გიორგი მაჭარაშვილი მივლინებული იყო ფინეთში კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ასევე, სკოლას ჰყავდა ისტორიის მასწავლებელი, რომელიც ამავდროულად იყო უნივერსიტეტში ორკესტრის ხელმძღვანელი, რომელიც მივლინებული იყო შვეიცარიაში.
საბჭოს სხდომაზე 17:55 საათზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 18:15 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N176 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N176 საჯარო სკოლას (ს/კ: 206031907) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1550 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 3).
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის აგვისტოდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: ოთხივე სტანდარტი.

5.სსიპ-ქალაქ თბილისის №74 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, თამარ მიდელაშვილმა და მაია ბუაძემ რომ სსიპ ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 01 და 02 ივნისს. დაწესებულება

მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ქ. თბილისი, კაკაბეთის ქუჩა N2-ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 800 მოსწავლე.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა, ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსებსა და ინფრასტრუქტურუქტურულ ნაწილზე, წარმოადგინა შესაბამისი ფოტო-მასალა. სკოლაში შქმნილი იყო ინკლუზიური გარემო. სკოლა განთავსებული იყო ოთხსართულიან შენობაში. შენობაში დაცული იყო ჰიგიენური ნორმები, იყო სუფთა, მოწესრიგებული ფართო და ნათელი საკლასო ოთახები. სკოლაში იყო კომპიუტერული ლაბორატორია და სკოლის ძლიერ მხარედ ითვლებოდა ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში. ასევე, სკოლის ძლიერი მხარე იყო არაფორმალური განთლება, სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა კლუბი, რომელთა საქმიანობაც გათვლილი იყო თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე. სკოლაში დიდი ყურადღება ექცეოდა ჯანსაღი ცხოვრების წესს, სკოლაში იყო ჭადრაკის წრე და სპორტის მოყვარულთა წრე.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ოთხივე სტანდარტის მიხედვით შეისწავლა სკოლის დოკუმენტაცია. ექსპერტის განმარტებით, ხარვეზი იყო დაფიქსირებული 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით. სკოლა აღჭურვილი იყო ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, სკოლას ჰქონდა საევაკუაციო გასასვლელი. სკოლის შენობაში დამონტაჟებუი იყო სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა. ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ არ იყო წარმოდგენილი დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, მაგრამ წარმოდგენილი იყო მიწერილობა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების მომზადებასთან დაკავშირებით (18.05.2023). გარდა ამისა, სკოლას არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და საევაკუაციო გეგმა საჭიროებდა განახლებას. ექსპერტის განცხადებით, სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები და არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი იყო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. სკოლა უზრუნველყოფდა (შესრულების ვადა - 01.09.2023-01.05.2024) შესაბამის სფეროში აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენას, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, ასევე, სკოლა აიყვანდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს და განაახლებდა საევაკუაციო გეგმას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოცემული ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა, განაცხადა, რომ ხარვეზი იყო დაფიქსირებული 3.4.1.6 კომპონენტთან მიმართებით, კერძოდ, სკოლას დირექტორის ბრძანებით გამოყოფილი ჰყავდა პირი, რომელიც პასუხისმგებელი იყო კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტურ მუშაობაზე, თუმცა სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნებოდა მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები და ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში, სწრაფი რეაგირების პროცედურები. ექსპერტის განმარტებით, სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდეგნისას წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, 05.10.2023 წლამდე სკოლა უზრუნველყოფდა მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმების და ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურების შემუშავებას დოკუმენტურად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა განაცხადა, რომ ხარვეზი იყო დაფიქსირებული 3.5.1.5 კომპონენტთან მიმართებით. კერძოდ,

სკოლაში არ იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სკოლას არ ჰქონდა ცალკე საკლასო ოთახი, სადაც განთავსდებოდა ლაბორატორიის აღჭურვილობა. დაწესებულებამ, ვიზიტის პერიოდში, წარმოადგინა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და როგორც დირექტორის საუბრიდან გაირკვა, ინვენტარი დაარქივებული იყო და ინახებოდა სარდაფში. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, 01.08 .2023 - 01.02.2024 წლებში სკოლა უზრუნველყოფდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების ლაბორატორიის შექმნას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა, განაცხადა, რომ ხარვეზი იყო დაფიქსირებული 4.1.1.2 კომპონენტთან მიმართებით, კერძოდ,სკოლის მიერ მოსწავლესთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნაწილი თარიღდებოდა 2016 წლით (და არ იყო განახლებული), ხელშეკრულებების ნაწილი თარიღდებოდა 2022 წლით და შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ექსპერტის განმარტებით, სკოლამ ვიზიტის პერიოდში დაიწყო აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება, მაგრამ რადგან სკოლის მოსწავლეთა კონტიგენთი მაღალია, ამ ხარვეზის აღმოხვრა ვერ მოხერხდა მოკლე დროში. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, 2023 წლის 20 სექტემბრიდან 1 დეკემბრამდე სკოლა უზრუნველყოფდა მოსწავლესთან გაფორმებული ხელშეკრულების განახლებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რა ღონისძიებები ხორციელდებოდა სკოლის ბაზაზე პედაგოგთა მხარდაჭერისა და ინიციატივების წახალისების მიზნით. სკოლის დირექტორმა, მარინე ჯარმელიშვილმა ისაუბრა სკოლის გამოცილებაზე, ამ საკითხთან დაკავირებით, მასწავლებლებს ჰქონდათ ფსიქო-ემოციური, მატერიალური და ინტელექტუალური მხარდაჭერა. მატერიალურ მხარდაჭერაში იგულისხმებოდა ის, რომ თითოეულ მასწავლებელს შესაძლებლობა ჰქონდა 20 ნოემბრამდე წარმოედგინათ საჭირო მატერიალური რესურსების მოთხოვნა, რაც დასჭირდებოდა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, რათა შესყიდვების გეგმაში მომხდარიყო ამ ყოვილევს ასახვა და შესაძლებელი გამხდარიყო სკოლის მხრიდან აღნიშნულის უზრუნველყოფა. ასევე, თითქმის ყველა საკლასო ოთახი აღჭურვლი იყო საჭირო ელექტროინული რესურსით. სკოლის დირექტორის ბრძანებით, გამოყოფილი იყო პირი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ახალმიღებული მასწავლებლის ახალ გარემოსთან ადაპტაციაზე.

უცხოური ენების ექსპერტმა, თამთა კამკამიძემ აღნიშნა, მასწავლებლებთან ინტერვიუირების დროს გამოვლინდა, რომ სკოლაში, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მასწავლებლების მხრიდან შემუშავებული დავალებები იყო თითოეული მოსწავლის მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, მასწავლებლების მხრიდან მოყვანილი იყო მაგალითები, თუ როგორ ახდენდნენ კომპლექსური დავალებების ადაპტირებას მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასევე, სკოლას შემუშავებული ჰქონდა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ექსპერტმა, თამთა კამკამიძემ, აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მასწავლებლების მხირდან იყო მოსწავლეთა მაღალი მხარდაჭერა. აღნიშნულს დაეთანმხმა და გაიზიარა, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, ნიკოლოზ გურგენიძემ, ასევე, სახელმწიფო ენის ექსპერტმა, ნატო კვენეტაძემ. მან დაამატა, რომ სახელმწიფო ენის

მიმართულებით განხორციელებული პროექტული სწავლების დაგეგმვისას აქცენტები კეთდებოდა თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე, რაც ხელს უწყობდა მოსწავლის აქტიურად ჩართვას და მისი შესაძლებლობების გამოვლენას.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა საგნობრივ კურიკულულებთან დაკავშირებით და მიმართა საგნობრივ ექსპერტებს, თუ როგორ მიმდინარეობდა სკოლაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საბუნებუსმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა თამარ ოღლიშვილმა აღნიშნა, მასწავლებლებთან ინტერვიუირების დროს გამოვლინდა, რომ სკოლაში, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გემის შესამაბისად, მასწავლებლების მხრიდან შემუშავებული დავალებები იყო თითოეული მოსწავლის მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შექმნილი, მასწავლებლების მხრიდან მოყვანილი იყო მაგალითები, თუ როგორ ახდენდნენ კომპლექსური დავალებების ადაპტირებას მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ მასწავლებლები მშობლებთან კომუნიკაცისთვის იყენებდნენ forms-ის პროგრამას გამოკიხვისთვის, რომელიც შესაძლებელს ხდიდა გამოევლინა მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, თუ რატომ არ ჰყავდა, ამ დრომდე, სკოლას შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და რამდენად ჰქონდა მზაობა სკოლას სწრაფად გაეხსნა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. სკოლის დირექტორმა უპასუხა, რომ სკოლა საშტატო განრიგში შეიტანდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის შტატს. ასევე, ინფრასტრუქტურის სააგენტოში გაგზავნილი იყო წერილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლას (ს/კ: 206105150) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 4).

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, 3.4 და 3.5 კომპონენტთან მიმართებით, სტანდარტების შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეასრულოს დაფიქსირებული საკითხები და ცენტრში წამრმოადგინოს დამადასტურებელი მტკიცებულება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 19:10 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით